



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 75

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
31.10.2024

75-06-4-202410311555



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ს/კ №81.15.05.256 და №81.20.03.337 საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს და ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მესამე ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 38-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ოქტომბრის №18-1824303118 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

#### მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ს/კ № 81.15.05.256 და № 81.20.03.337 საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს თანდართულ დანართში მითითებული ფასების შესაბამისად.

#### მუხლი 2

უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს ოდენობა განისაზღვროს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით, ხოლო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით.

#### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ.  
რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.  
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

